მოგზაურობა საქართველოში

სვანეთი

ათასი კოშკის მხარეში

სურათი #1. სვანური კოშკები

ჯვარი - მესტია! - მარშრუტი, რომელიც ჩვენმა ჰოლანდიელმა ქართველებმა უნდა გაიარონ, ალბათ ერთ-ერთი **ურთულესი**[1] და თან ულამაზესია მსოფლიოში!

ლაშა და გიორგი აქეთ-იქით იყურებიან: მარჯვენა მხარეს გახედვა საშიშია - ძალიან ღრმა და ვიწრო ხეობაა. ქვემოთ ენგურია - ეს ის მდინარეა, რომლის **სათავეშიც**[2] ქართველების წინაპრები ცხვრის ტყავებით ოქროს მოიპოვებდნენ! სწორედ ამ ოქროს საწმისისთვის ესტუმრა იასონი კოლხეთს!

სვანეთი ყველაზე მაღალი მხარეა საქართველოში. ჩრდილოეთიდან კავკასიონის ქედი ესაზღვრება, აღმოსავლეთიდან - რაჭა, სამხრეთიდან - ლეჩხუმი და სამეგრელო, დასავლეთიდან კი - აფხაზეთი.

სურათი #2. კავკასიონი

სვანეთში კავკასიონის ქედი ყველაზე მაღალია: საქართველოს უმაღლესი მწვერვალები [illegible]ორედ სვანეთში მდებარეობს. მათ შორისაა მწვერვალი შხარა (5 201 მ), თეთნულდი (4 974 მ), შოთა რუსთაველი (4 960 მ), უშბა (4 710 მ), აილამა (4 525 მ) და სხვა.

მწვერვალები, ულამაზესი ხეობები, ციხე-კოშკები - დიდი ხანია მოგზაურებსა და ტურისტებს აინტერესებთ. საქართველოს ეს

[1] **ურთულესი** - ყველაზე რთული
[2] **სათავე** - ადგილი, სადაც მდინარე იწყება.

სურათი #3. სვანეთი რუკაზე



უძველესი კუთხე მდიდარია კულტურის ძეგლებით, ტრადიციებითა და დიდებული ბუნებით.

სვანეთი ორ ნაწილად იყოფა - ზემო და ქვემო სვანეთად. სვანეთის ეს ორი ნაწილი ქედითაა ერთმანეთისგან გაყოფილი.

საინტერესოა სვანეთის **ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა**[3]: ზემო და ქვემო სვანეთი ორ ადმინისტრაციულ ერთეულშია გადანაწილებული.

ზემო სვანეთი შედის სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში, რომლის ცენტრიც ქალაქი ზუგდიდია,

სურათი #4. ზემო და ქვემო სვანეთი



ქვემო სვანეთი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში შედის. მხარის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ამბროლაური.

„ათასი კოშკის მხარე“ - ასე უწოდებენ სვანეთს... არ აქვს მნიშვნელობა აქ რისთვის, რა მიზნით მოდიხარ: სვანეთი ერთნაირად მოსწონთ ადგილობრივი კულტურით დაინტერესებულ ადამიანებსაც, ალპინისტებსაც და, უბრალოდ, მთაში დასვენების მოყვარულებსაც.

გიორგი და ლაშა უბრალო ტურისტები არ არიან! ჯერ კიდევ ბათუმში ყოფნისას, ახლად დამეგობრებულმა სვანმა დიტო ხერგიანმა ბიჭებს სვანეთის ალპინისტურ ბანაკში წასვლა შესთავაზა... სექტემბერში აქ ალპინიადები იმართება, სადაც დამწყებ ალპინისტებს

[3] **ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა** - ოფიციალურად ქვეყნის რომელ მხარეს ეკუთვნის ტერიტორია.

მთამსვლელობის მარტივ წესებს ასწავლიან... ლაშა და გიორგი ჯერ პატარები არიან, მათ მწვერვალზე ვერ წაიყვანენ, მაგრამ 3 დღით ალპინისტთა ბანაკში ყოფნა იმდენად საინტერესო წინადადება იყო, რომ ბიჭებმა მშობლები მალე დაითანხმეს.

სურათი #5. სვანეთის გზა

როგორც ყველა ქართველი, დიტო ხერგიანიც სტუმრების მოყვარულია. დიტომ ბათუმიდანვე შეატყობინა მშობლებს, რომ სექტემბერში ძვირფასი სტუმრები ეყოლებოდა.

ჯვარი-მესტიის გზა მთლიანად ენგურის ხეობას მიუყვება. აი, კოშკებიც გამოჩნდა და უკვე იგრძნობა, რომ სვანეთში ხარ!

2 საათზე მეტი ხანი მოანდომეს ენგურის წყალსაცავიდან მესტიამდე გზას. ბოლოს გამოჩნდა სვანეთის **გული**[4] - მესტია - ულამაზესი კოშკებით, გარშემო თოვლიანი მწვერვალებით, რაღაცნაირი, ამაყი ბუნებით!

სურათი #6. მესტია

[4] **გული** - ცენტრი, ყველაზე მნიშვნელოვანი.

სოფლის ცენტრში დიტო თავის მშობლებთან ერთად ელოდებოდა სტუმრებს. მონატრებული მეგობრები ერთმანეთს ჩაეხუტნენ, მშობლებიც მიესალმნენ ერთმანეთს და იქვე, ცენტრში მდებარე სვანური კოშკისკენ **გაეშურნენ**[5]**.** დიახ, ეს კოშკი მათი ოჯახის კუთვნილებაა! რა თქმა უნდა, კოშკში დღეს აღარავინ ცხოვრობს, გვერდით მშვენიერი თანამედროვე ორსართულიანი სახლია აშენებული, მაგრამ ეს ჩვეულებრივი ამბავია: სვანური კოშკები ამა თუ იმ გვარს ეკუთვნით..

დაღლილ-დაქანცული ბიჭები და მათი მშობლები დასასვენებლად მათთვის მომზადებულ ოთახებში მიაბრძანეს. დიტოს ძალიან უნდოდა, ბიჭებისთვის სამეგრელოში მოგზაურობის ამბავი გამოეკითხა, მაგრამ მშობლებმა ნება არ დართეს: - აცალე ბავშვებს, ამხელა გზა გამოიარეს, დაისვენონო. საღამოს სუფრასაც გაუშლიან სტუმრებს და ერთმანეთს კარგად მოიკითხავენ!

ახლად გაღვიძებულ ბიჭებს უგემრიელესი სუნი ეცათ... ძალიან შიოდათ ამხელა გზის მერე... თანაც - აქ ისეთი ჰაერია, სულ გშია და ჭამა გინდება!

სურათი #7. სვანური სუფრა

სუფრა ქვემოთ, მისაღებში გაეშალათ ხერგიანებს. ძალიან მოინდომეს, რომ ევროპიდან ჩამოსული სტუმრებისთვის სვანური სუფრა სრულყოფილად წარმოედგინათ: სვანური სულგუნი, კაარზი – რძეში მოხარშული ყველი პიტნით, ჭიშდვარი - მჭადის ფქვილში შეზელილი ყველის კვერი, კუბდარი – პურის ცომში ჩაშუშული წვრილად დაკეპილი ხორცი, თაშმიჯაბი – ყველის და კარტოფილის შეზელილი პიურე და სხვა.

[5] **გაეშურნენ** - წავიდნენ.

სუფრას არ აკლდა სვანეთში გავრცელებული **ფხალეულიც**[6]: მინდვრის ფხალი, ჭინჭარი, ნაცარქათამა, ასევე - ღვეზელები, რომლებიც, ხაჭაპურის მსგავსად, პურის ცომში ცხვება.

თითქმის ყველა კერძი შეზავებულია სვანური მარილით, რომელიც მზადდება სუფრის მარილის, წიწაკისა და დანაყილი მცენარეებისგან. სვანური მარილით დამზადებული კერძები გამოირჩევიან სიცხარითა და განსაკუთრებული სურნელით.

სურათი #8. სვანური მარილი

სვანეთში სასმელად უმეტესად იყენებენ ადგილობრივი ხილისაგან გამოხდილ არაყს - რახს.

გემრიელი ვახშმის შემდეგ ბიჭებს ძილი მოერიათ. ძალიან დაიღალნენ დღეს: საჭიროა, ხვალისთვის ძალები მოიკრიბონ...

მესტია

სურათი #9. სვანური კოშკის გეგმა

- მოდით, ბიჭებო, პირველ რიგში, ჩვენი კოშკი დავათვალიეროთ! მერე ცენტრში გავიდეთ და სხვა კოშკებიც ვნახოთ! მესტიაში ბევრი რამეა სანახავი - მოვიაროთ, რასაც მოვასწრებთ, თორემ, ხომ იცით, მთაში ადრე ღამდება! - ამბობს დიტო.

ლაშა და გიორგი სიხარულით გაჰყვნენ მასპინძელს. სანამ კოშკში შევიდოდნენ, დიტო ბიჭებს სვანური კოშკების შესახებ მოუყვა:

[6] **ფხალეული** - მცენარეები, რომლებსაც აზავებენ სუნელებით და საჭმელად იყენებენ.

- სვანურ კოშკს სვანების თავდაცვის მიზნით აშენებდნენ. სვანური კოშკი 20-25 მეტრი სიმაღლისაა. შედგება 4 ან 5 სართულისგან. ქვედა სართულს ფანჯრები არ აქვს. შესასვლელი კი მეორე სართულის დონეზეა მოწყობილი. კოშკებს კვადრატული ფორმა აქვთ.

წინათ სვანებს ბევრი მტერი ჰყავდათ და ხშირად ესხმოდნენთ თავს - როგორც ჩრდილოეთიდან - ისე - სამხრეთიდან... ამიტომ ყველა ოჯახი თავის დასაცავად საკუთარ კოშკს აშენებდა. ამიტომაც გვიწოდებენ „ათასი კოშკის მხარეს“! - იღიმება დიტო.

სართულები შიგნით ერთმანეთთან გადასატანი ხის კიბეებითაა დაკავშირებული. კოშკის უკანასკნელ სართულზე მოწყობილია პატარა საბრძოლო მოედანი ირგვლივ **სათოფურებით[7].**

- რით აშენებდნენ სვანები კოშკებს? - იკითხა გიორგიმ.

- სვანურ კოშკს აგებდნენ რიყის ქვითა და ლოდებით, კოშკებს გარედან ლესავდნენ ბათქაშით. სვანური კოშკი ან საცხოვრებელ სახლთანაა დაკავშირებული, ან ცალკე დგას. ჩვენი კოშკი სახლთანაა დაკავშირებული... მართლა, თქვენ იცით, რომ სვანური კოშკები **იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებს[8]** წარმოადგენს? - სიამაყით უყვება ბიჭებს დიტო.

- არა, ნამდვილად არ ვიცოდით! - ერთხმად წამოიძახეს ბიჭებმა.

ლაშა და გიორგი უკან დაჰყვებოდნენ დიტოს. ხის კიბეებით ავიდნენ ყველა სართულზე; კოშკის ბოლო სართულიც მოინახულეს: ძალიან ლამაზი იყო - თოვლიანი მწვერვალები, ცისფერი ცა! მთელი მესტია მოჩანდა ამ მაღალი კოშკიდან...

- ბიჭებო, სვანეთის ისტორია თუ იცით?

- ცოტა რამ ჩვენც ვიცით! აი, ოქროს შეგროვების სვანური წესის შესახებ გაგვიგია! - იღიმება გიორგი.

- კიდევ ბევრ რამეს გაიგებთ სვანეთზე! - იცინის დიტო, - ყველაზე ადრინდელი ცნობა სვანების შესახებ გვხვდება ბერძენ ისტორიკოს სტრაბონთან. სტრაბონი წერს, რომ სვანები 1 საუკუნეში ყველა სხვა ტომზე ძლიერები იყვნენ.

სვანები თავდაპირველად უფრო ვრცელ ტერიტორიებს ფლობდნენ, ისინი წინათ ლეჩხუმისა და რაჭის მნიშვნელოვან ნაწილშიც ცხოვრობდნენ.

---

[7] **სათოფური** - კედელში გამოჭრილი პატარა ფანჯარა, საიდანაც თოფს ესროდნენ მტერს.
[8] **იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლები** - ძეგლები, რომელთა დაცვაც იუნესკომ თავის თავზე აიღო.

სვანეთი კოლხეთის, შემდეგ კი ეგრისისა და ლაზიკის სამეფოების შემადგენელი ნაწილი იყო. საქართველოს გაერთიანების შემდეგ ის ერთ-ერთი **საერისთაო**[9] ხდება.

ზემო სვანეთი ბალის ქედით იყოფოდა ბალს ზემო და ბალს ქვემო სვანეთად. ბალს ქვემო სვანეთი დადეშქელიანების სამფლობელო იყო, ბალს ზემო სვანეთი კი თავისუფალ სვანეთად იწოდებოდა და ბატონი არასოდეს ჰყოლია.

სვანებმა ქრისტიანობა 523 წელს მიიღეს. სვანები და მისი დიდებულები განსაკუთრებულ როლს ასრულებდნენ საქართველოს ისტორიაში.

სურათი #10. სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

- ისე, ამდენს რომ ვლაპარაკობ, ამ ყველაფერს ერთად ვნახავთ მუზეუმში! - შესთავაზა დიტომ ბიჭებს. რასაკვირველია, ლაშა და გიორგი სიამოვნებით დაეთანხმნენ.

სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი 1936 წელს დაარსდა და მესტიაში მდებარეობს. მასში დაცულია: სვანეთის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები; ქართული ჭედური ხელოვნებისა და ხატების ნიმუშები; უძველესი ხელნაწერები; ადრეული და გვიანი შუასაუკუნეების საომარი აღჭურვილობა, რკინის, ვერცხლის, სპილენძის ნაკეთობები, სამკაულები, ჭურჭელი, ძველი სვანეთის ყოფის ამსახველი ეთნოგრაფიული ნივთები და სხვა.

ძნელად მისადგომი ზემო სვანეთი ძველად საქართველოს განძთსაცავის ფუნქციას ასრულებდა. ომიანობის დროს ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან შეკრებილ საეკლესიო თუ საერო ნივთებს მთებში მალავდნენ. ასე შემოინახა სვანეთში უნიკალური ხატები,

[9] **საერისთაო** - ტერიტორია, რომელსაც სათავეში ერისთავი ედგა.

უძველესი ხელნაწერები, რომლებიც დღეს სვანეთის ეკლესიებსა და მესტიის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება.

ლაშა, გიორგი და მათი მასპინძელი დარბაზიდან დარბაზში გადადიოდნენ და დიდი ინტერესით ისმენდნენ გიდის ნაამბობს.

- ახლა კი, მოდით, თანამედროვეობასაც გავეცნოთ! - იღიმება დიტო, - დღეს მესტია ერთ-ერთი გამორჩეული კურორტია და უამრავი ტურისტი სტუმრობს სვანეთს როგორც ზაფხულში, ასევე - ზამთარშიც!

- ზამთარში? აქ? ამ სიცივეში? - უკვირს ლაშას.

- დიახ, ზამთარში! - ეღიმება დიტოს, - მესტია ზამთარშიც საინტერესოა! სვანეთში ცივი ზამთარი იცის. მოდის დიდი თოვლი, რაც მოთხილამურეებისთვის ძალიან კარგია. მესტიიდან 7 კილომეტრში მდებარეობს სათხილამურო კურორტი ჰაწვალი. მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 2348 მეტრია, აქ მოხვედრა მესტიიდან ძალიან სწრაფად და შეიძლება: ჰაწვალს მესტიასთან აკავშირებს მოასფალტებული სამანქანო გზა, ასევე - 6 ადგილიანი საბაგირო.

სურათი #11. კურორტი ჰაწვალი

ძალიან პოპულარული სამთო კურორტია თეთნულდი. ის მესტიიდან ცოტა მოშორებითაა - თეთნულდის მწვერვალის მისადგომებთან. მესტიიდან კურორტ თეთნულდამდე ზამთრის სეზონზე უბრალო მანქანით ვერ ახვალთ! თეთნულდი გაცილებით მაღალზეა: სათხილამურო ტრასის მაქსიმალური სიმაღლე 3160 მეტრია! მისი მდებარეობაც უნიკალურია: აქედან ჩანს ცნობილი მწვერვალები - უშბა და თეთნულდი.

სურათი #12. კურორტი თეთნულდი

მოკლედ - მესტია უახლოეს მომავალში ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო სამთო სათხილამურო კურორტად ჩამოყალიბდება!

- როგორ მიყვარს თხილამურები! აუცილებლად ჩამოვალთ მე და ლაშა ამ ზამთარს სვანეთში! მიგვიღებ? - წამოიძახა გიორგიმ.

- არ გრცხვენიათ, ბიჭებო? ჩემი სახლი - თქვენი სახლია! ჩვენ ხომ მეგობრები ვართ! - იცინის დიტო, - ჩვენ, სვანებს, დიდი ტრადიციები გვაქვს! მეგობრის ერთგულება, სტუმრის პატივისცემა - ნებისმიერი სვანის უპირველესი მოვალეობაა! ისე, თუ იცით თქვენ, რომ სვანეთში უძველესი დროიდან საკუთარი სამართლის წესები ჰქონდათ და **ლამის**[10] მეოცე საუკუნემდე მოაღწია ამ წესებმა?

- არა, რა წესები? მოგვიყევი, რა! - დაინტერესდნენ ბიჭები.

- საქართველოს მთაში ძველთაგანვე არსებობდა თემის მმართველობა, რომელსაც ხევისბერი მეთაურობდა. ხევისბერს ხევსურეთში ხუცს უწოდებდნენ, თუშეთში – დეკანოზს, სვანეთში – მახვშს.

მახვშს, ანუ თემის მეთაურს თემის საერთო კრება ირჩევდა. კრებაში მონაწილეობის მიღების უფლება ჰქონდა ქალსაც და კაცსაც. მახვში გამოირჩეოდა გონიერებით, სამართლიანობით, ვაჟკაცობით. იგი მშვიდობიანობის დროს იყო მოსამართლე, ხოლო ომის დროს - ჯარის წინამძღოლი.

საგანგებო შემთხვევებში იმართებოდა – ხევის ყრილობა, სადაც ნებისმიერი საკითხი ხმათა უმრავლესობით წყდებოდა. ყრილობაზე განიხილავდნენ მეზობლებთან ურთიერთობის საკითხები, მოსალოდნელი ომისთვის სამზადისი და სხვა. ყრილობა მსჯელობდა სვანებს შორის წარმოქმნილ უთანხმოებაზე და არჩევდა, ვინ იყო მტყუანი, ვინ - მართალი. თემის მმართველობა რომ არ ყოფილიყო სვანეთში, ალბათ სვანების დიდი ნაწილი ერთმანეთს დახოცავდა!

- რატომ? - გაუკვირდა ლაშას.

- ტრადიცია შეიძლება იყოს კარგიც და ცუდიც! - გააგრძელა დიტომ, - სვანეთში არსებობდა სისხლის აღების ტრადიცია, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა სვანების

[10] **ლამის** - თითქმის.

რეპუტაციას... - ეღიმება დიტოს, - ისე, საკმაოდ ხშირი იყო შემთხვევები, როცა მოკლულის შურის საძიებლად ერთი ოჯახი მეორე ოჯახს სამაგიეროდ უკლავდა რომელიმე წევრს... და ეს

სურათი #13. მახვშის სკამი

გრძელდებოდა წლების განმავლობაში... მხოლოდ მახვშსა და ყრილობას შეეძლოთ შეეწყვიტა ხანგრძლივი მტრობა და სისხლის აღება... სხვათა შორის, დღემდეა შემორჩენილი ოჯახებში მახვშის სკამები - სავარძელი, რომელშიც დაბრძანდებოდა მახვში და უმნიშვნელოვანეს საკითხებს წყვეტდა...

- ძალიან საინტერესოა... დღესაცაა შენარჩუნებული ეს ტრადიციები? - იკითხა გიორგიმ.

- არა, დღეს სვანეთი ცივილიზებული მხარეა... თუმცა, სვანებს ძალიან უყვართ თავიანთი ისტორია, ტრადიციები, ეკლესიები, ხვალ ვნახავთ ერთ-ერთ ულამაზეს ეკლესიას სვანეთში - ღვთისმშობლის სახელობის ტაძარს, სადაც ყოველწლიურად აღნიშნავენ სვანები ლამარიობას, ანუ მარიამობას!

- წავიდეთ, წავიდეთ! - აყვირდნენ ბიჭები.

გადაწყდა, რომ მეორე დღეს წავიდოდნენ უშგულში, სადაც მდებარეობს ლამარიას ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია.

ევროპის უმაღლესი დასახლებული პუნქტი

- ახლა ჩვენ მივდივართ ევროპის უმაღლეს დასახლებულ პუნქტში! - თქვა დიტოს მამამ, ძია სოზარმა, როცა ბიჭები მანქანაში ჩაუსხდნენ.

- როგორ? ევროპაში, შვეიცარიაში ამაზე მაღალი სოფლები და კურორტები არ არის? - გაოცდნენ ლაშა და გიორგი.

უშგულის სიმაღლე 2060–დან 2200 მეტრამდე მერყეობს. უშგული მწვერვალ შხარას ძირშია; ის ძველი სოფელია, დიდი ისტორიით და ტრადიციებით.

სვანეთის სილამაზისა და საინტერესო ადგილების გასაცნობად ერთ-ერთი საუკეთესო მარშრუტია ხალდედან უშგულში გადამავალი გზა. ხალდე ძალიან საინტერესო ისტორიული ადგილია: მე-19 საუკუნეში აქ დიდი უბედურება დატრიალდა: სვანეთში რუსული მმართველობის დაწესების შემდეგ, რუსეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა სვანეთის მიწებისა და პირუტყვის აღწერა-რეგისტრაცია. სვანებმა, რომლებსაც ბატონი არასოდეს ჰყოლიათ, მოიწვიეს ყრილობა და დაიფიცეს, არ დამორჩილებოდნენ რუსი იმპერატორის ამ გადაწყვეტილებას. 2000-მა შეიარაღებულმა სვანმა გადაკეტა სვანეთში შესასვლელი ყველა გზა და ბილიკი. 1876 წელს სვანეთში რუსებმა ჩუმად შეიყვანეს ჯარი და სოფელი ხალდე ალყაში მოაქციეს. ექვსი დღეს გაუძლო ალყას გმირმა სოფელმა. რუსებმა დაანგრიეს ხალდეს ყველა კოშკი, ყველა შენობა, გადაწვეს ყანები და ხალდე გაანდაგურეს!

სურათი #14. უშგული

აი, უშგულიც... კოშკები, კოშკები, კმოშკები! - ბიჭები აღტაცებულები არიან!

უშგულის მონახულების შემდეგ, დიტომ ლაშა და გიორგი ღვთისშობლის სახელობის ეკლესიისკენ წაიყვანა, რომელიც უშგულის ჩრდილოეთით, ამაღლებულ გორაზე მდებარეობს. ეკლესიას ირგვლივ **ზღუდე**[11] აქვს შემოვლებული, გამაგრებული კოშკით. იგი IX-X საუკუნეებში ააშენეს. ბაზილიკური ტიპის ეკლესიას შესასვლელი დასავლეთიდან აქვს.

უშგულის ლამარია სვანეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია. ტაძრის უძველესი ფრესკები მე-10 საუკუნისაა, აქ გვხდება უძველესი ქართული წარწერებიც.

ყოველ წელს, 28 აგვისტოს, აქ იმართება დიდი დღესასწაული, ე.წ. ლამარიობა (მარიამობა). ეს დღესასწაული ძალიან საინტერესოა იმით, რომ აქ შერწყმულია ქრისტიანობამდელი უძველესი რელიგიისა და ქრისტიანობის ელემენტები.

[11] **ზღუდე** - გალავანი.

- რატომ ჰქვია ტაძარს ლამარია? ღვთისმშობელს ხომ მარიამი ერქვა? - დაინტერესდა გიორგი.

- ჰოოო... ეს ძალიან საინტერესო საკითხია... - დაფიქრებულმა უპასუხა დიტომ, - ქრისტიანობამდე სვანებს მრავალი ღმერთი ჰყავდათ... ლამარია მარცვ-ლეულის, ნაყოფიერების, მეწველი საქონლისა და ხელსაქმის მფარველი სვანური ქალღმერთი იყო. ქრისტიანობის შემოსვლამ ლამარიასაც შეუცვალა სახელი და მის ნაცვლად იესო ქრისტეს დედის - მარიამის სახელი ეწოდა ტაძარს, თუმცა, ძველი ლამარიაც შემორჩა!

სურათი #14. ლამარია

სვანეთში ყველაზე პოპულარული იყო ნადირობის ქალღმერთი დალი. სვანების წარმოდგენაში დალი ცხოვრობს მიუვალ კლდეებში, საიდანაც ეშვება მისი ოქროს თმები. მას შეუძლია ადამიანს გამოეცხადოს ცხოველის ან ფრინველის სახით. დალი საუკეთესო სვან მონადირეებს ნადირობაში ეხმარებოდა.

ბიჭები უკვე მიუახლოვდნენ ლამარიას ტაძარს. ტაძარში ბევრი ხალხი არ იყო...

- აი, მარიამობის დღესასწაულზე სვანები დილიდან იწყებენ შესაწირით მისვლას. ყველა ოჯახში ცხვება ყველისგან დამზადებული ლემზირი: ეს აუცილებელია ლამარიობის დღესასწაულზე... ოჯახის უფროსი კლავს საკლავს, მზადდება სხვადასხვა საჭმელი და მთელი ოჯახი მიდის ხოლმე ეკლესიაში... - უყვება ბიჭებს დიტო.

- ძირითადი რიტუალი კი სახლებში ტარდება. მარიამობას თითოეულ ოჯახში იშლება სუფრა: მოიხსენიებენ ოჯახიდან წასულ ყველა მიცვალებულს, ადღეგრძელებენ ცოცხლებს...

ლაშა, გიორგი და დიტო დატკბნენ ულამაზესი ხედებით, დიდხანს იძრომიალეს ლამარიას ტაძარს გარს შემოვლებულ გალავანზე და დაღლილ-დაქანცულები, კმაყოფილები დაბრუნდნენ მესტიაში.

ჩვენ ალპინისტები ვართ!

- დღეს ალპინისტურ ბანაკ ზესხოში მივდივართ! ძალიან მიხარია! - ეუბნება გიორგი ლაშას.

- უშბას რომ ვუყურებ ყოველ დილას, მგონია, რომ იოლად მოვახერხებ ამ უმშვენიერეს მწვერვალის დაპყრობას! - უპასუხა ლაშამ.

- რას ამბობ, ლაშა! - გაეცინა დიტოს, - უშბას სახელი, იცი, რას ნიშნავს სვანურად? „ავი მთა“... და იცით, რატომ?

- რას ამბობ! ეს ულამაზესი მთა ავი რატომ არის? - დაინტერესდნენ ბიჭები.

- უშბა არ არის ყველაზე მაღალი მწვერვალი სვანეთში, მაგრამ ყველაზე ძნელად ასასვლელი მთაა. აქ ბევრი ქართველი თუ უცხოელი ალპინისტი დაიღუპა... რამდენიმე წლის განმავლობაში უშბაზე ცოცვა აიკრძალა კიდეც!

სურათი #15. მწვერვალი უშბა

უშბას 2 მწვერვალი აქვს: ჩრდილოეთი მწვერვალი ზღვის დონიდან 4690 მეტრ სიმაღლეზეა. სამხრეთის მწვერვალი ჩრდილოეთის მწვერვალზე 20 მეტრით მაღალია. უშბაზე რამდენჯერმე აცოცდა მიხეილ ხერგიანი.

- ვინ იყო მიხეილ ხერგიანი? იკითხა ლაშამ.

- სვანეთი ამაყობს მიხეილ ხერგიანის სახელით! მსოფლიოში ის ცნობილი იყო, როგორც კლდის ვეფხვი“... მიხეილ ხერგიანი ბრიტანეთის დედოფალსაც კი შეხვდა!

სურათი #16. მიხეილ ხერგიანი

სპორტის დამსახურებული ოსტატი, ალპინიზმსა და კლდეზე ცოცვაში, მიხეილ ბესარიონის ძე ხერგიანი დაიბადა დაბა მესტიაში 1932 წლის 25 მარტს. მამამისი, ბესარიონ ხერგიანი, საბჭოთა კავშირში ერთ–ერთი პირველი და ცნობილი მთამსვლელი იყო. მიხეილს ბავშვობიდან ესმოდა საუბრები მთამსვლელთა ცხოვრების შესახებ, თავადაც სულ კლდეებზე დაცოცავდა. ზამთარში თხილამურებზე სრიალებდა და ქართული ჭიდაობაც კარგად ეხერხებოდა. 14 წლის ასაკში მან მიიღო პირველი ჯილდო, სამკერდე ნიშანი „საბჭოთა კავშირის პირველი კატეგორიის ალპინისტი“. ამის შემდეგ ის სხვადასხვა მწვერვალებს ლაშქრავდა საქართველოში, ევროპასა და აზიაში...

1955 წელს პამირის ქედზე საოცარი ასვლის გამო პირველი ოქროს მედალი და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული მიიღო. 1955, 1956, 1964 წლებში იგი სამჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი ალპინიზმში. მასზე ამბობდნენ: „კლდეზე კი არ ადის, ცეკვავსო“. 1965 წელს ხერგიანმა ყველა დროის საუკეთესო მთამსვლელის ტიტული დაიმკვიდრა.

1969 წლის ივლისში ხერგიანი იტალიაში გაემგზავრა; სამწუხაროდ, მწვერვალ სუ-ალტოზე ასვლისას, მას თოკი გაუწყდა და დაიღუპა..

- მეც მინდა, კლდის ვეფხვი ვიყო! მეც მინდა ალპინისტობა! - ყვირის ლაშა... გიორგისაც უნდა ალპინისტობა, სვანეთში ჩამოსვლის ერთ-ერთი მიზეზი ხომ სწორედ ეს არის: ბიჭები 3 დღით ალპინისტურ ბანაკში მიდიან!

სვანეთში რამდენიმე ალპინისტური ბანაკია, რომლებიც საშუალებას აძლევენ როგორც პროფესიონალ, ისე მოყვარულ ალპინისტებს, რომ შეიგრძნონ ის სიამოვნება რასაც **მთამსვლელობა**[12] ჰქვია.

[12] **მთამსვლელი** – ალპინისტი.

ძალიან ძნელია უარი თქვა ასეთ სიამოვნებაზე თუკი ეს ერთხელ მაინც გაქვს გამოცდილი. ღამის კარავში გათენება, ისეთ ადგილებში სიარული, სადაც ადამიანს ფეხიც კი არ აქვს დადგმული!

სურათი #17. ბანაკი ზესხო

ბიჭები ალპინისტთა ბანაკ „ზესხოში“ აპირებენ 3 დღის გატარებას და მათი მასწავლებელი იქ ბიძინა გუჯაბიძე იქნება. ბიძინა ცნობილი ქართველი მთამსვლელია: ევერესტის დამპყრობელი! უშბაზეც არაერთხელ არის ნამყოფი. სულ ახლახან, 2022 წელს, თავის ვაჟთან ერთად, 62 წლის ასაკში კიდევ ერთხელ **დალაშქრა**[13] „ავი მთა“ - უშბა!

ბანაკი "ზესხო" დაარსდა 1978 წელს ცნობილი ქართველი ალპინისტის ჯოკია გუგავას მიერ. ზესხო არ არის მხოლოდ პროფესიონალი ალპინისტების ბანაკი, აქ ძირითადად მოყვარული ალპინისტები და უბრალო დამსვენებლები ჩამოდიან.

90_იან წლებში, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური სიძნელეების გამო ბანაკი იძულებული გახდა, მუშაობა დროებით შეეწყვიტა. თუმცა, 2003 წლიდან ბანაკი ყოველწლიურად იღებს მთის მოყვარულებს.

სწორედ ზესხოში, კარავში იცხოვრებენ მომდევნო 3 დღის განმავლობაში ლაშა და გიორგი, ბიძინა გუჯაბიძე კი შეასწავლის მთამსვლელობის ანაბანას!

უუუჰ, რა საინტერესო დღეები ელით წინ!

[13] **დალაშქრა მთა** - მწვერვალზე ავიდა.